

# საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-54/ნ  
2015 წლის 4 ნოემბერი

ქ. თბილისი

**ადგილობრივი დამსაქმებლის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის საქართველოში კანონიერად მყოფი იმიგრანტის დასაქმების შესახებ შეტყობინების წესის შესახებ**

„შრომითი იმიგრანტის (საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 აგვისტოს №417 დადგენილების მე-2 მუხლისა და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

## **მუხლი 1**

დამტკიცდეს „ადგილობრივი დამსაქმებლის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის საქართველოში კანონიერად მყოფი იმიგრანტის დასაქმების შესახებ შეტყობინების თანდართული წესი.

## **მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან.

საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური  
დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

## **დანართი 1**

**ადგილობრივი დამსაქმებლის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის საქართველოში კანონიერად მყოფი იმიგრანტის დასაქმების შესახებ შეტყობინების წესი**

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

ეს წესი შემუშავებულია „შრომითი იმიგრანტის (საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 აგვისტოს №417 დადგენილების მე-2 მუხლისა და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად და განსაზღვრავს ადგილობრივი დამსაქმებლის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის (შემდგომში - სააგენტო) საქართველოში კანონიერად მყოფი იმიგრანტის დასაქმების შესახებ წარსადგენი ინფორმაციის შეტყობინების ფორმასა და მისი წარდგენის წესს.

## **მუხლი 2. შეტყობინების წარდგენა**

ადგილობრივი დამსაქმებელი ვალდებულია სააგენტოში წარადგინოს შეტყობინება საქართველოში კანონიერად მყოფი იმიგრანტის დასაქმებასთან დაკავშირებით, დანართი 1.1.-ით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

## **მუხლი 3. შეტყობინების წარდგენის ადგილები**

ამ წესით გათვალისწინებული შეტყობინება წარდგენილ უნდა იქნეს სააგენტოში.



ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომით ურთიერთობაში მყოფი, საქართველოში კანონიერად მყოფი იმიგრანტის დასაქმების შესახებ შეტყობინების ფორმა

1. ადგილობრივი დამსაქმებელი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი:

\_\_\_\_\_

1.1 იურიდიული მისამართი: \_\_\_\_\_

1.2 ფაქტობრივი მისამართი: \_\_\_\_\_

2. შეტყობინების განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირის პერსონალური მონაცემები:

2.1 სახელი, გვარი: \_\_\_\_\_

2.2 პირადი ნომერი: \_\_\_\_\_

2.3 დაკავებული პოზიცია: \_\_\_\_\_

2.4 საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი და/ან ელექტრონული ფოსტა):

\_\_\_\_\_

3. დასაქმებული იმიგრანტის პერსონალური მონაცემები:

3.1 სახელი, გვარი: \_\_\_\_\_

3.2 პირადი ნომერი: \_\_\_\_\_

3.3 დაბადების თარიღი: \_\_\_\_\_

3.4 სქესი: \_\_\_\_\_

3.5 წარმოშობის ქვეყანა: \_\_\_\_\_

3.6 დაკავებული პოზიცია: \_\_\_\_\_

4. იმიგრანტის მიერ დაკავებული პოზიციისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

4.1 განათლების აუცილებელი დონე:

საშუალო

პროფესიული

უმაღლესი

4.2 ასაკი: \_\_\_\_\_

4.3 გამოცდილება: \_\_\_\_\_

4.4 სპეციფიკური უნარები: \_\_\_\_\_

4.5 სხვა (მიუთითეთ) \_\_\_\_\_

5. დასაქმებული უცხოელი იმიგრანტის პროფესია და გამოცდილება/კვალიფიკაცია:

5.1 განათლება:



საშუალო

პროფესიული

უმაღლესი

5.2 პროფესია: \_\_\_\_\_

5.3 გამოცდილება/კვალიფიკაცია: \_\_\_\_\_

5.3 სპეციფიკური უნარები: \_\_\_\_\_

5.4 სხვა (მიუთითეთ): \_\_\_\_\_

6. ადგილობრივ დამსაქმებელსა და უცხოელ იმიგრანტს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების დადებისა და მოქმედების ვადა: რიცხვი/თვე/წელი:

